



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	პატარძელის „ვეფხვები/თუშები“ - ზუგდიდის „ზუგდიდი“		
გუნდი	პატარძელის „ვეფხვები/თუშები“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ა“ ლიგა
მატჩის თარიღი	27/02/2022	მატჩის ადგილი	თბილისი, ავჭალის სარაგბო ბაზა.
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

02/03/2022.

სრკ-ს ოფისი, თბილისი, ჭ.ამირეჯიბის #6

**სადისციპლინო კომისია :**

მირიან თავზარაშვილი - სხდომის თავმჯდომარე;

ედუარდ ნაჭყებია, ლევან ჩიკვაძე, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე - სადისციპლინო კომისიის წევრები.

**პატარძელის „ვეფხვები/თუშები“ :**

სანდრო პავლიაშვილი - პატარძელის „ვეფხვები/თუშები“-ს მენეჯერი;

ბექა ბეგლარიშვილი - მთავარი მწვრთნელი;



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მეთვალყურის თამაზ სახლთხუციშვილის მატჩის ოქმი 27/02/2022;
2. მატჩის მსაჯის საბა მახარაძის საითინგი 27/02/2022;
3. მატჩის მსაჯის საბა მახარაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის კიდის მსაჯის გიორგი მიმინოშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
5. მატჩის კიდის მსაჯის ლაზარე ქარჩხაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 27/02/2022 გაიმართა ჭაბუკთა „ა“ ლიგის საკლასიფიკაციო მატჩების I ტურის მატჩი პატარძელის „ვეფხვები/თუშები“-სა და ზუგდიდის „ზუგდიდს“ შორის.
2. მატჩის მსაჯის საბა მახარაძის საითინგის მიხედვით, თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე, პატარძელი „ვეფხვები/თუშები“-ს მენეჯერმა სანდრო პავლიაშვილმა დაიწყო მის და კიდის მსაჯის გადაწყვეტილებებზე აპელირება. ციტირება საბა მახარაძის საითინგიდან : **„გავაჩერე თამაში და მივედი სიტუაციაში გასარკვევად, რის შემდეგაც მან გააგრძელა ყვირილი და მივმართე თუ მოედანს არ დატოვებდა თამაშს არ გავაგრძელებდი. გადაინაცვლა ტრიბუნების მხარეს და მალევე გააგრძელა ყვირილი. კიდევ ერთხელ მომიწია თამაშის გაჩერება და ვუჩვენე წითელი ბარათი. შემდეგ იყო ჩემს თანამსაჯზე მუქარა და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მე მივიჩნიე, რომ თამაშის გაგრძელება არ იყო უსაფრთხო, მოთამაშეებს ავუხსენი სიტუაცია, მოვუხადე ბოდიში და თამაში დავასრულე. ამის შემდეგ, მოედნის დატოვებისას დაგვხვდა (სანდრო პავლიაშვილი) გარეთ დაიწყო შელაპარაკება და სიტყვიერი შეურაცხყოფა ... შელაპარაკების დროს პატარძელის „ვეფხვები/თუშები“-ს მთავარმა მწვრთნელმა ბექა ბეგლარიშვილმა ხელი უბიძგა ჩემს თანამსაჯს (გიორგი მიმინოშვილი), ჩვენ(მსაჯები) ჩავდექით შუაში, რომ გართულება არ მოჰყოლოდა ამ ფაქტს“.**
3. მატჩის თანამსაჯის, გიორგი მიმინოშვილის, სატელეფონო გამოკითხვისას ირკვევა, რომ თამაშის შეწყვეტის შემდეგ, მოედნიდან გამოსვლისას ადგილი ჰქონდა ურთიერთ შელაპარაკებას მასსა და პატარძელის „ვეფხვები/თუშები“-ს მწვრთნელსა(ბექა ბეგლარიშვილი) და მენეჯერს(სანდრო პავლიაშვილი) შორის, თუმცაღა მას ხელით არავინ შეხებია.
4. მატჩის ოფიციალური პირების მიერ მოწოდებული ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის გათვალისწინებით დაზუსტებით ვერ დგინდება მატჩის თანამსაჯზე, გიორგი მიმინოშვილზე, ფიზიკური შეხების ფაქტი.
5. პატარძელის „ვეფხვები/თუშები“-ს მთავარი მწვრთნელის ბექა ბეგლარიშვილის განმარტებით, თამაშის შეწყვეტის შემდეგ, მოედნიდან გამოსვლისას მატჩის თანამსაჯმა (გიორგი მიმინოშვილი) სიტყვიერი შეურაცხყოფა( **თავს გაფუტებავ !** ) მიაყენა სანდრო პავლიაშვილს (პატარძელის „ვეფხვები/თუშები“-ს მენეჯერი).



სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით იმსჯელა მომხდარი ინციდენტის შესახებ, გაითვალისწინა :

1. მატჩის ოფიციალური პირების მოხსენებები;
2. პატარძელის „ვეფხვები/თუშები“-ს წარმომადგენლების განმარტებები;
3. პატარძელის „ვეფხვები/თუშები“-ს მენეჯერის სანდრო პავლიაშვილის სადისციპლინო ისტორია, კერძოდ სანდრო პავლიაშვილი სრკ-ს სადისციპლინო კომისიის მიერ( ოქმი #23) 2021 წლის 26 იანვარს დისკვალიფიცირებული იყო 1(ერთი) წლით, მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის;
4. იხელმძღვანელებს სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-თ „სანქციები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის.“ და მიიღო

#### გადაწყვეტილება

1. ძალაში დარჩეს თამაშის შეწყვეტისას დაფიქსირებული ანგრიში.  
**ვეფხვები/თუშები 12 - ზუგდიდი 31;**
2. პატარძელის „ვეფხვები/თუშები“-ს მენეჯერი სანდრო პავლიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით 2023 წლის 4 მარტამდე. დისკვალიფიკაციის პერიოდში, სანდრო პავლიაშვილს ეკრძალება სრკ-ს ეგიდით გამართულ ყველა დონის შეჯიბრებების მატჩებზე სტადიონზე დასწრება.
3. პატარძელის „ვეფხვები/თუშები“-ს მწვრთნელს, ბექა ბეგლარიშვილს მიეცეს გაფრთხილება. მსგავსი ინციდენტის განმეორების შემთხვევაში, მას დაეკისრება უფრო მკაცრი დისციპლინარული სანქცია.
4. სრკ-ს მსაჯს, გიორგი მიმინოშვილს მიეცეს გაფრთხილება. მსგავსი ინციდენტის განმეორების შემთხვევაში, მას დაეკისრება უფრო მკაცრი დისციპლინარული სანქცია.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	03/03/2022
--------------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.